

პოსტკომუნისტური ეკონომიკის გარდაქმნის პარადიგმათა შედარებითი ანალიზი

ვლადიმერ გლონტი

პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
vladimer.ghlonti@bsu.edu.ge

პაატა აროშიძე

პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
aroshidze.paata@bsu.edu.ge

doi.org/10.52340/eab.2025.17.04.02

წინამდებარე სტატიაში განხილულია პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის ორი კონცეპტუალური განსხვავებული თეორიული მიდგომა, რომელიც წარმოადგენს პროფესორ ვლადიმერ გლონტის და აკადემიკოს ვლადიმერ პაატას ნეკოეკონომიკის თეორიებს. კვლევა ანალიზს უკეთებს ამ ორი პარადიგმის ეპისტემოლოგიურ საფუძვლებს, პრაქტიკულ გამოყენებას და შედეგებს სხვადასხვა ისტორიულ-ინსტიტუციურ კონტექსტში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიკოს პაატას უახლეს ნაშრომებს - ანტიეკონომიკური ეკონომიკა (2021) და From Retroeconomics to Sanctionomics (2024) - რომლებიც ავითარებენ მის თეორიულ ჩარჩოს თანამედროვე გლობალური გამოწვევების კონტექსტში: COVID-19 პანდემია, უსუსტ-უკრაინის ომი, ეკონომიკური სანქციები და გლობალიზაციის ტრანსფორმაცია. პარადიგმის განხილულია პროფესორ გლონტის თეორიული ევოლუცია ვაშინგტონის კონსენსუსის თანაავტორიდან მდგრადი განვითარებისა და გლობალური სოციალისტური მხარდამჭერად.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ აკადემიკოს პაატას კონტექსტუალური, ადაპტაციური და ინსტიტუციური ხედობაზე დაფუძნებული მიდგომა უფრო ადეკვატურია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის, თუმცა, ორივე პარადიგმა შეიცავს ღიხებულ თეორიულ ედემენტებს, რომელთა სინთეზი შეიძლება პროდუქტიული იყოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, შოკური თეორია, ნეკოეკონომიკა, ხელოვნური ეკონომიკა, ზომბი-ეკონომიკა, სანქციონომიკა, კონფორმაციური გლობალიზაცია, ანტიეკონომიკური ეკონომიკა, ინსტიტუციური კონტექსტი.

შესავალი

პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაცია წარმოადგენს ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და სადისკუსიო საკითხს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში. 1990-იანი წლების

დასაწყისიდან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში განხორციელებული რეფორმების გამოცდილებამ წარმოშვა ფუნდამენტური კითხვები ეკონომიკური თეორიის უნივერსალურობის, კულტურული და ინსტიტუციური კონტექსტის როლის და ტრანსფორმაციის ოპტიმალური სტრატეგიების შესახებ.

წინამდებარე კვლევა ორიენტირებულია ამ დისკუსიაში ორი ცნობილი ეკონომისტის - პროფესორ ჯეფრი საქსისა და აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას - თეორიული მიდგომების კრიტიკულ - შედარებით ანალიზზე. პროფესორი საქსი, როგორც ვაშინგტონის კონსენსუსის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და შოკური თერაპიის თეორიის ავტორი, წარმოადგენს გლობალურ-უნივერსალისტურ მიდგომას, რომელიც ემყარება სტანდარტიზებული ეკონომიკური მიდგომების გამოყენებას. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროფესორი საქსის შეხედულებები მნიშვნელოვნად ევოლუციონირებდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში - მისი თანამედროვე ნაშრომები აჩვენებს გაცილებით უფრო ნიუანსირებულ და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ პოზიციას.

აკადემიკოსი პაპავა კი, ქართული ეკონომიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი და ნეკროეკონომიკის თეორიის შემქმნელი, ასახავს ლოკალურ-კონტექსტუალურ მიდგომას, რომელიც ხაზს უსვამს ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური თავისებურებების მნიშვნელობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის უახლეს ნაშრომებს, რომლებიც თავმოყრილია მონოგრაფიებში “არატრადიციული ეკონომიკა” (2021) და “From Retroeconomics to Sanctionomics” (2024), სადაც იგი ავითარებს თავის თეორიულ ჩარჩოს თანამედროვე გლობალური კრიზისების კონტექსტით.

მეთოდოლოგია

კვლევის საკითხები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:

1. რა ეპისტემოლოგიური განსხვავებები არსებობს პროფესორ საქსის და აკადემიკოს პაპავას თეორიულ მიდგომებს შორის და როგორ განსაზღვრავს ეს განსხვავებები მათ პრაქტიკულ რეკომენდაციებს?

2. როგორ აიხსნება ეკონომიკური რეფორმების განსხვავებული შედეგები პოლონეთში, რუსეთსა და საქართველოში ამ ორი თეორიული პარადიგმის პრიზმაში?

3. რამდენად ადაპტაციურია თითოეული მიდგომა თანამედროვე გლობალური გამოწვევების - პანდემიის, გეოპოლიტიკური კონფლიქტებისა და გლობალიზაციის ტრანსფორმაციის - მიმართ?

ანალიზის კრიტერიუმები

შედარებითი ანალიზი ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- *ეპისტემოლოგიური მიდგომა*: უნივერსალიზმისა და კონტექსტუალიზმის; დედუქციური და ინდუქციური მეთოდოლოგიის დაპირისპირებით;
- *ინსტიტუციური ფაქტორების გათვალისწინება*: ინსტიტუტების როლის აღიარება და მათი ტრანსფორმაციის სტრატეგია;
- *ადაპტაციური შესაძლებლობები*: თეორიული ჩარჩოს უნარი ახალ ეკონომიკურ ფენომენზე რეაგირებისთვის;
- *პრაქტიკული შედეგები*: რეფორმების ემპირიული შედეგები კონკრეტულ ქვეყნებში.

კვლევა იყენებს დოკუმენტური ანალიზის მეთოდს ორივე ავტორის თეორიული ნაშრომების შესასწავლად და შედარებით-ისტორიულ მეთოდს სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმების შედეგების შესაფასებლად.

ორი თეორიული პარადიგმა: ფუნდამენტური პრინციპები

პროფესორ ჯეფრი საქსის შოკური თერაპია და მისი ევოლუცია

პროფესორ ჯეფრი საქსის მიერ ჩამოყალიბებული შოკური თერაპიის კონცეფცია წარმოადგენს ეკონომიკური ტრანსფორმაციის რადიკალურ სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ლიბერალიზაცია, სტაბილიზაცია და პრივატიზაცია (Sachs, 1993). ეს მიდგომა გულისხმობს ფასების სწრაფ გათავისუფლებას, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მკაცრ შეზღუდვას და სახელმწიფო საკუთრების მასობრივ პრივატიზაციას შედარებით მოკლე დროში.

პროფესორ საქსის თეორიული დასაბუთება ემყარება რამდენიმე ძირითად არგუმენტს: რადიკალური რეფორმები ამცირებს უკუსვლის რისკს და ხელს უშლის ძველი ნომენკლატურის ეკონომიკურ-პოლიტიკურ რესტავრაციას; სწრაფი ტრანსფორმაცია ამცირებს გარდამავალ პერიოდს და, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებს; ყოველივე ეს ქმნის სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდისთვის (Sachs & Warner, 1995; Lipton & Sachs, 1990).

შოკური თერაპიის წარმატებული ასპექტები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პროფესორ საქსის მიდგომამ გარკვეული კონტექსტით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიტანა. პოლონეთში შოკურმა თერაპიამ შესაძლებელი გახადა ჰიპერინფლაციის სწრაფი დამარცხება - ინფლაცია 1989 წლის 639%-დან 1991 წლისთვის 60%-მდე შემცირდა. ბალცეროვიჩის გეგმამ შექმნა საფუძველი მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის, რამაც ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვას (Balcerowicz, 1995).

პროფესორ საქსის თეორიული ეკოლოგია. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ საქსის შეხედულებები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მისი ნაშრომი - “The End of Poverty” (2005), უკვე აჩვენებს გადასვლას სწრაფი ლიბერალიზაციიდან სიღარიბის აღმოფხვრის კომპლექსურ, მრავალმხრივ სტრატეგიებზე. “The Ages of Globalization” (2020) და “Ethics in Action for Sustainable Development” (2022), წარმოაჩენს პროფესორ საქსს როგორც მდგრადი განვითარებისა და გლობალური თანამშრომლობის ერთგულ მხარდამჭერს.

პროფესორი საქსი დღეს აქტიურად აკრიტიკებს იმ უკონტროლო კაპიტალიზმს, რომლის ერთ-ერთ თეორეტიკოსად მას მიიჩნევენდენ 1990-იან წლებში. იგი ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილების საკითხებს, სოციალური უთანასწორობის პრობლემას და გლობალური თანამშრომლობის აუცილებლობას. COVID-19 პანდემიის დროს პროფესორი საქსი იყო Lancet-ის კომისიის თანათავმჯდომარე (Sachs et al., 2022), რაც ადასტურებს მის აქტიურ ჩართულობას გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების გადაჭრაში.

თუმცა, კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესორ საქსის ადრეული მიდგომა ეფუძნებოდა რამდენიმე პრობლემატურ დაშვებას: იგი გულისხმობდა, რომ ეკონომიკური ინსტიტუტები შეიძლება სწრაფად შეიქმნას ან იმპორტირებულ იქნეს; რომ საზოგადოება შესძლებს რადიკალურ ცვლილებებისადმი ადაპტაციას მოკლე დროში; და რომ სოციალური დაძაბულობა არ შეუშლის ხელს რეფორმების განხორციელებას. როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი აღნიშნავს, ეს მიდგომა არ ითვალისწინებდა ინფორმაციის ასიმეტრიას, ბაზრის წარუმატებლობას და ინსტიტუტების მნიშვნელობას.

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ნეკროეკონომიკა, რეტროეკონომიკა და ზომბი-ეკონომიკა

აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მიერ შემუშავებული ნეკროეკონომიკის თეორია წარმოადგენს ორიგინალურ კონცეპტუალურ ჩარჩოს პოსტკომუნისტური ეკონომიკების ანალიზისთვის (Papava, 2002, 2005). ეს თეორია განსაზღვრავს ნეკროეკონომიკას, როგორც ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც არსებობენ სანარმოები (ნეკრო-სანარმოები), რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს მათი ეკონომიკური არაეფექტიანობის გამო, მაგრამ აგრძელებენ ფუნქციონირებას სხვადასხვა ფორმით მიწოდებული სახელმწიფო მხარდაჭერის საშუალებით.

აკადემიკოსი პაპავა ავითარებს თავის თეორიულ ჩარჩოს რამდენიმე მიმართულებით. პირველი, იგი ადგენს ნეკრო-სანარმოების ტიპოლოგიას:

პირველი ტიპის ნეკრო-საწარმოებია, ისინი, რომლებიც შეიქმნა საბჭოური დაგეგმვის პირობებში და არასოდეს ყოფილან რეალურად ეფექტიანი; მეორე ტიპის ნეკრო-საწარმოები თავდაპირველად ეფექტიანი იყვნენ, მაგრამ გახდნენ არაეფექტიანი ტრანსფორმაციის პროცესში კორუფციისა და მენეჯმენტის უუნარობის გამო (Papava, 2005).

თეორიული არსენალი მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციას: რეტროეკონომიკა ეკონომიკური სისტემაა, რომელიც განიცდის დაქვეითებას და რეგრესს (Papava, 2017); ზომბი-ეკონომიკა ფირმებია, რომლებიც ტექნიკურად გაკოტრებულია, მაგრამ აგრძელებენ არსებობას ფინანსური მხარდაჭერის წყალობით (Papava, 2020b; Papava & Chkuaseli, 2021). ეს ტერმინები ქმნიან ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოს პოსტკომუნისტური და თანამედროვე კრიზისული ეკონომიკების გაგებისათვის.

ეს მიდგომა, არსებითად განსხვავდება პროფესორ საქსის ადრეული პარადიგმისგან რამდენიმე კრიტიკული ასპექტით: იგი აღიარებს პოსტკომუნისტური ეკონომიკების ხარისხობრივ თავისებურებებს და უარყოფს - „ერთი მიდგომა ყველასთვის“, გადაწყვეტილებების შესაძლებლობას; ხაზს უსვამს ინსტიტუციური რეფორმების მნიშვნელობას და მათი განხორციელების ხანგრძლივობას; აღიარებს სოციალური კაპიტალისა და კულტურული ფაქტორების როლს ეკონომიკურ ტრანსფორმაციაში (Papava, 2006).

დამატებითი კონცეფციები - მანფლაციის ინდექსი (უმუშევრობისა და ინფლაციის ერთობლივი მაჩვენებელი) და საგადასახადო კორუფციის ინდექსები - წარმოადგენს მცდელობას, უფრო ზუსტად გაიზომოს ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური შედეგები (Papava, 2003; Papava & Khaduri, 2003).

ნეკროეკონომიკის თეორიის შეზღუდვები. ობიექტური ანალიზი მოითხოვს აღინიშნოს ამ თეორიის გარკვეული შეზღუდვებიც. პირველი, ნეკრო-საწარმოებისა და ზომბი-ფირმების იდენტიფიკაციის კრიტერიუმები შეიძლება იყოს სუბიექტური და დამოკიდებული კონკრეტულ კონტექსტზე. მეორე, თეორია უფრო ძლიერია დიაგნოსტიკური, ვიდრე პრესკრიპტიული ასპექტით - ის კარგად აღწერს პრობლემებს, მაგრამ ყოველთვის არ გვთავაზობს კონკრეტული გადაწყვეტის გზებს. მესამე, ემპირიული ვერიფიკაცია სხვადასხვა ქვეყანაში რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად.

შედარებითი ანალიზი: რეფორმების შედეგები პოლონეთის გამოცდილება

პოლონეთი ხშირად მოიხსენიება როგორც შოკური თერაპიის წარმატებული მაგალითი. 1990 წლის იანვარში დაწყებულმა ბალცეროვიჩის გეგმამ მოიცვა ფასების ლიბერალიზაცია, ფისკალური და მონეტარული შეზღუდვები და პრივატიზაციის დაწყება (იხ.ცხრილი 1).

პოლონეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (1989-1995)

ცხილი 1.

მაჩვენებელი	1989	1990	1991	1992	1995
ინფლაცია (%)	639	249	60	44	22
მშპ-ის ზრდა (%)	0.2	-11.6	-7.0	2.6	7.0
უმუშევრობა (%)	0.1	6.5	12.2	14.3	13.3

წყაიხი: ინფლაციის მონაცემები: *International Monetary Fund, World Economic Outlook Database*; მშპ-ის ზხდა: *World Bank, World Development Indicators*, უმუშევრობა: *OECD Economic Surveys: Poland (1992, 1994, 1997)*

თუმცა, პროფესორ საქსის მიდგომის ტრიუმფად ამ შემთხვევის წარმოდგენა იქნებოდა გამარტივება. პოლონეთის წარმატება განპირობებული იყო რამდენიმე უნიკალური ფაქტორით: კერძო სექტორის არსებობა უკვე კომუნისტურ პერიოდში (კერძო მინათმფლობელობა სოფლის მეურნეობაში); ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და „სოლიდარობის“ მოძრაობის მემკვიდრეობა; გეოგრაფიული სიახლოვე დასავლეთ ევროპასთან და ევროკავშირში განვრიანების პერსპექტივა; საერთაშორისო ფინანსური დახმარება და ვალის რესტრუქტურირაცია (Kolodko, 2000; Roland, 2000).

რუსეთის გამოცდილება

რუსეთში, სადაც 1992 წლიდან ასევე განხორციელდა შოკური თერაპია, შედეგები კარდინალურად განსხვავებული აღმოჩნდა (იხ.ცხრილი 2).

რუსეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (1991-1998)

ცხილი 2.

მაჩვენებელი	1991	1992	1995	1998
ინფლაცია (%)	161	2509	131	84
მშპ-ის ზრდა (%)	-5.0	-14.5	-4.1	-5.3
სიღარიბის დონე (%)	11	33	36	38

წყაიხი: ინფლაცია და GDP: *Russian Federation Federal State Statistics Service (Rosstat)*; *World Bank, World Development Indicators*, სიღარიბის დონე: *World Bank Poverty Assessment Reports; Income, Inequality, and Poverty during the Transition from Planned to Market Economy. Washington: World Bank*

ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას აკადემიკოს პაპავას თეორიული ჩარჩოთი: რუსეთის ეკონომიკა წარმოადგენდა ნეკროეკონომიკის კლასიკურ მაგალითს, სადაც საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობა - გიგანტური, არაეფექტიანი საწარმოები, არსებითად ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება, ცენტრალიზებული მართვის ტრადიციები - ქმნიდა სრულიად განსხვავებულ ინსტიტუციურ კონტექსტს.

როგორც აკადემიკოსი პაპავა აღნიშნავს, რუსეთში პრივატიზაციამ არ შექმნა ეფექტიანი კერძო სექტორი, არამედ გამოიწვია სახელმწიფო აქტივების კონცენტრაცია ოლიგარქიული ჯგუფების ხელში, რაც სწორედ ნეკრო-საწარმოების მეორე ტიპის - თავდაპირველად ეფექტიანი, მაგრამ კორუფციითა და ცუდი მენეჯმენტით გახრწნილი საწარმოების, მასობრივ წარმოშობას ნიშნავდა (Goldman, 2003; Papava, 2005).

საქართველოს გამოცდილება

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ის ილუსტრირებს როგორც შოკური თერაპიის, ასევე კონტექსტუალური მიდგომის ელემენტებს სხვადასხვა პერიოდში (იხ.ცხრილი 3).

საქართველოს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (1991-2010)

ცხრილი 3.

მაჩვენებელი	1991	1994	2000	2005	2010
ინფლაცია (%)	79	15607	4.1	8.3	7.1
მშპ-ის ზრდა (%)	-20.6	-11.4	1.8	9.6	6.3
უმუშევრობა (%)	-	-	10.3	13.8	16.3

წყარო: ინფლაცია და მშპ: National Statistics Office of Georgia (Geostat); International Monetary Fund, World Economic Outlook Database; უმუშევრობა: Geostat; World Bank, World Development Indicators; დამატებითი წყარო: Papava, V. The Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ განიცადა კატასტროფული ეკონომიკური კოლაფსი, რაც განპირობებული იყო არამხოლოდ ტრანსფორმაციული კრიზისით, არამედ სამოქალაქო ომით და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით. 1994-1995 წლების სტაბილიზაციის პროგრამამ, რომელშიც აკადემიკოსი პაპავა აქტიურად მონაწილეობდა, მოიცვა ეროვნული ვალუტის - ლარის - შემოღება და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებები.

აკადემიკოს პაპავას თანახმად, საქართველოს გამოცდილება აჩვენებს ნეკროეკონომიკის თეორიის პრაქტიკულ რელევანტურობას: მრავალი საბჭოთა პერიოდის სანარმო გახდა კლასიკური ნეკრო-სანარმო, რომელიც ვერც ფუნქციონირებდა ეფექტიანად და ვერც იხურებოდა სოციალური მიზნების გამო (Papava, 2006, 2012). შემდგომი პერიოდის რადიკალურმა ლიბერალიზაციამ (2004-2012) მოიტანა გარკვეული წარმატებები ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაში, მაგრამ ვერ გადაჭრა სტრუქტურული უმუშევრობისა და რეგიონული დისბალანსის პრობლემები.

თანამედროვე გამოწვევები და თეორიული ადაპტაცია COVID-19 პანდემია და ზომბი-ეკონომიკა

COVID-19 პანდემიამ შექმნა უპრეცედენტო გამოწვევა გლობალური ეკონომიკისთვის და გახდა ორივე ეკონომისტისთვის თეორიული ადაპტაციის ტესტი. აკადემიკოსმა პაპავამ შემოიტანა „კორონომიკური კრიზისის“ კონცეფცია, რითაც აღწერა სიტუაცია, როდესაც „ეკონომიკა არის მედიცინის მძევალი“ (Papava, 2020a). მან გააფრთხილა ზომბი-ეკონომიკის საფრთხის შესახებ - მდგომარეობის, როდესაც მასიური სახელმწიფო დახმარება ინარჩუნებს არაეფექტიან სანარმოებს (Papava, 2020b; Papava & Chkuaseli, 2021).

პროფესორი საქსი, როგორც Lancet-ის COVID-19 კომისიის თანათავმჯდომარე, ფოკუსირდა პანდემიის გლობალურ მართვასა და საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე (Sachs et al., 2022). მისი მიდგომა ხაზს უსვამდა გლობალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას და ვაქცინებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ორივე მიდგომა აჩვენებს გარკვეულ კომპლემენტარულობას: აკადემიკოს პაპავას მიკროეკონომიკური ანალიზი ფირმების დონეზე და პროფესორ საქსის მაკროგლობალური პერსპექტივა ერთად ქმნის უფრო სრულ სურათს.

რუსეთ-უკრაინის ომი და სანქციონომიკა

რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტით, აკადემიკოსმა პაპავამ განავითარა „სანქციონომიკის“ კონცეფცია, რომელიც აანალიზებს ეკონომიკური სანქციების კომპლექსურ შედეგებს, როგორც სამიზნე, ასევე მსანქცირებელი ქვეყნებისთვის (Papava, 2022a, 2022b). ეს კონცეფცია აჩვენებს სანქციების ექსტერნალიებს - გაუთვალისწინებელ შედეგებს მესამე ქვეყნებისთვის, ენერგეტიკული ბაზრებისთვის და გლობალური მიწოდების ჯაჭვებისთვის.

კონფრონტაციული გლობალიზაციის კონცეფცია (Papava, 2022c; Papava & Bedianashvili, 2024) აღწერს გლობალიზაციის ახალ ფაზას, სადაც ეკონომი-

კური ურთიერთდამოკიდებულება გამოიყენება გეოპოლიტიკურ იარაღად. ეს განსხვავდება როგორც ნეოლიბერალური ოპტიმიზმისგან გლობალიზაციის კეთილისმყოფელობის შესახებ, ასევე პროტექციონისტული იზოლაციონიზმისგან.

პროფესორი საქსი ამ პერიოდში ფოკუსირდა გეოპოლიტიკური დაძაბულობის დიპლომატიურ გადაწყვეტაზე და გააკრიტიკა დასავლეთის „ცივი ომის მენტალიტეტი“, რითაც გარკვეული კრიტიკა დაიმსახურა დასავლურ აკადემიურ წრეებში.

ეპისტემოლოგიური განსხვავებები

ორ მეცნიერს შორის ფუნდამენტური განსხვავება თავს იჩენს მათ ეპისტემოლოგიურ პოზიციაში. პროფესორი საქსი, განსაკუთრებით თავის ადრეულ კარიერაში, წარმოადგენდა დედუქციურ-უნივერსალისტურ მიდგომას: თეორიული პრინციპებიდან (თავისუფალი ბაზარი, კერძო საკუთრება, მაკროეკონომიკური სტაბილურობა) გამომდინარე, იგი აყალიბებდა პოლიტიკის რეკომენდაციებს, რაც უნდა ყოფილიყო გამოყენებადი ნებისმიერი კონტექსტით.

აკადემიკოსი პაპავა, პირიქით, ავლენს ინდუქციურ-კონტექსტუალურ მიდგომას: კონკრეტული ეკონომიკების ემპირიული დაკვირვებიდან (პოსტსაბჭოთა ქვეყნები, განვითარებადი ეკონომიკები) იგი აყალიბებს თეორიულ კონცეფციებს, რომლებიც ითვალისწინებს ლოკალურ თავისებურებებს.

ეს ეპისტემოლოგიური განსხვავებები აისახება მათ დამოკიდებულებაში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. პროფესორი საქსი, როგორც ვაშინგტონის კონსენსუსის ერთ-ერთი ავტორი, თავდაპირველად მხარს უჭერდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტანდარტიზებულ რეკომენდაციებს, თუმცა, მოგვიანებით, გახდა მათი კრიტიკოსიც გარკვეულ ასპექტებში. აკადემიკოსი პაპავა კი, თავიდანვე კრიტიკულად უდგებოდა ერთ უნიფიცირებულ მიდგომას და ხაზს უსვამდა ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული ავტონომიის მნიშვნელობას (Papava, 2002, 2021).

დასკვნა

პროფესორ საქსისა და აკადემიკოს პაპავას თეორიული პარადიგმების შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა ეკონომიკური ტრანსფორმაციის სტრატეგიების შერჩევაში ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ასპექტი:

1. ინსტიტუციური კონტექსტი არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკური რეფორმების წარმატებისთვის. რეფორმების იდე-

ნტურმა პაკეტმა შეიძლება გამოიღოს კარდინალურად განსხვავებული შედეგები სხვადასხვა ინსტიტუციურ გარემოში, როგორც ეს პოლონეთის, რუსეთისა და საქართველოს შემთხვევებმა აჩვენა.

2. ეკონომიკური თეორიის უნივერსალურობის იდეა მოითხოვს კრიტიკულ გადაფასებას. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გამოცდილებით. წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს არა აბსტრაქტული თეორიების მექანიკურ გამოყენებას, არამედ, ლოკალური რეალობის ღრმა გააზრებას. აკადემიკოს პაპავას “არატრადიციული ეკონომიკა” წარმოადგენს სწორედ ასეთი ადაპტაციური მიდგომის მაგალითს.

3. ორივე მეცნიერის თეორიული ევოლუცია აჩვენებს, რომ კარგი ეკონომიკური თეორია უნდა იყოს ადაპტაციური. პროფესორ საქსის გადასვლა შოკური თერაპიის ავტორობიდან მდგრადი განვითარების მხარდამჭერამდე და აკადემიკოს პაპავას თეორიული არსენალის მუდმივი ევოლუციური (თანმიმდევრული) განვითარება (ნეკროეკონომიკიდან სანქციონომიკამდე), აჩვენებს ეკონომიკური აზროვნების საჭირო დინამიკურობას.

4. COVID-19 პანდემიამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და გლობალიზაციის ტრანსფორმაციამ დაადასტურა აკადემიკოს პაპავას თეზისი, რომ ეკონომიკური რეალობა არის დინამიკური და მოითხოვს მუდმივ თეორიულ ინოვაციას. მისი კონცეფციები ზომბი-ეკონომიკის, სანქციონომიკისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის შესახებ, აჩვენებს მის უნარს, გააანალიზოს ახალი ეკონომიკური ფენომენები და შეიმუშაოს შესაბამისი თეორიული ჩარჩოები.

5. ეკონომიკური აზროვნების დამოუკიდებლობა და ადგილობრივი ეკონომიკური სკოლების განვითარება არის გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატების აუცილებელი პირობა. აკადემიკოს პაპავას ნაშრომები წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომისტმა შექმნას ორიგინალური თეორიული კონცეფციები, რომლებიც რელევანტურია გლობალური ეკონომიკური დისკუსიისთვის. 2024 წელს იგი აირჩიეს საერთაშორისო CORE მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 2025 წელს - ბრიტანეთის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების (Royal Economic Society) წევრად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი თეორიული წვლილის საერთაშორისო აღიარებას.

მომავალი კვლევის მიმართულებები. წინამდებარე ანალიზი ხსნის გზას შემდეგი კვლევითი მიმართულებებისთვის: ა) ორივე პარადიგმის ელემენტების სინთეზის შესაძლებლობის შესწავლა; ბ) აკადემიკოს პაპავას თეორიული ჩარჩოს ემპირიული ტესტირება სხვა პოსტკომუნისტური და განვითარებადი ქვეყნების მონაცემებზე; გ) კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური მდგრადობის სტრატეგიების შემუშავება.

საბოლოო ანგარიშით, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის გამოცდილება და თანამედროვე გლობალური კრიზისების ანალიზი ადასტურებს, რომ არ არსებობს ეკონომიკური განვითარების უნივერსალური გზა. ყველა ქვეყანამ უნდა შექმნას საკუთარი, კონტექსტზე მორგებული სტრატეგია. აკადემიკოს პაპაგას კონტექსტუალურ-ადაპტაციური მიდგომა, პროფესორ საქსის გლობალურ პერსპექტივასთან კომბინაციაში, შეიძლება იყოს ყველაზე პროდუქტიული გზა მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისკენ.

ლიტერატურა:

References:

- Balcerowicz L. (1995). *Socialism, Capitalism, Transformation*. Budapest: Central European University Press.
- Ellman M. (2000). The Social Costs and Consequences of the Transformation Process. *Economic Survey of Europe*, 2/3, 125-140.
- Goldman M. (2003). *The Piratization of Russia: Russian Reform Goes Awry*. London: Routledge.
- Kolodko G. W. (2000). *From Shock to Therapy: The Political Economy of Postsocialist Transformation*. Oxford: Oxford University Press.
- Kornai J. (1992). *The Socialist System: The Political Economy of Communism*. Princeton: Princeton University Press.
- Lipton D., & Sachs J. (1990). Creating a Market Economy in Eastern Europe: The Case of Poland. *Brookings Papers on Economic Activity*, 1990(1), 75-147.
- Milanovic B. (1998). *Income, Inequality, and Poverty during the Transition from Planned to Market Economy*. Washington: World Bank.
- Papava V. (2002). Necroeconomics - the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, 29(9-10), 796-805.
- Papava V. (2003). On the Essence of Economic Reforms in Georgia. *Caucasian Review of International Affairs*, 2(4), 25-32.
- Papava V. (2005). *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York: iUniverse.
- Papava V. (2006). The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *Orbis*, 50(4), 657-667.
- Papava V. (2012). *The Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers.
- Papava V. (2017). Retroeconomics - Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, Vol. 6.
- Papava V. (2020a). Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine. *Eurasia Review*, March 29.
- Papava V. (2020b). Features of the Economic Crisis under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 14(3), 128-134.

- Papava V. (2021). Unconventional Economics. Tbilisi: TSU Press.
- Papava V. (2022a). On Sanctionomics. Eurasia Review, March 14.
- Papava V. (2022b). On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 16, No. 2.
- Papava V. (2022c). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. Eurasia Review, May 23.
- Papava V. (2023). Can High Inflation Wipe Out The Zombies In The Economy? Eurasia Review, March 8.
- Papava V. (2024). From Retroeconomics to Sanctionomics: Essays on Unconventional Economics. Bloomington, IN: iUniverse.
- Papava V. (2024). World Monetary Order: From Currency Globalization to Currency Geopolitics. Eurasia Review, November 21.
- Papava V. (2025). Transport Corridors of Central Asia - Facing the Challenges of Confrontational Globalization. Tbilisi: GFSIS.
- Papava V., & Bedianashvili G. (2024). Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 18, No. 3.
- Papava V., & Chkuaseli M. (2021). Coronomics, Financial Support for the Economy and its Zombie-ing. Finance: Theory and Practice, 25(5), 6-23.
- Papava V., & Khaduri N. (2003). On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation. Problems of Economic Transition, 46(1), 28-52.
- Roland G. (2000). Transition and Economics: Politics, Markets, and Firms. Cambridge, MA: MIT Press.
- Sachs J. (1993). Poland's Jump to the Market Economy. Cambridge, MA: MIT Press.
- Sachs J. (1995). Russia's Struggle with Stabilization: Conceptual Issues and Evidence. Proceedings of the World Bank Annual Conference on Development Economics 1994.
- Sachs J. (2005). The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time. New York: Penguin Press.
- Sachs J. (2017). Building the New American Economy: Smart, Fair, and Sustainable. New York: Columbia University Press.
- Sachs J. (2020). The Ages of Globalization: Geography, Technology, and Institutions. New York: Columbia University Press.
- Sachs J. (2022). Ethics in Action for Sustainable Development. New York: Columbia University Press.
- Sachs J., Abdool Karim S. S., et al. (2022). The Lancet Commission on lessons for the future from the COVID-19 pandemic. The Lancet, September 14.
- Sachs J., & Warner, A. (1995). Economic Reform and the Process of Global Integration. Brookings Papers on Economic Activity, 1995(1), 1-118.
- Stiglitz J. E. (2002). Globalization and Its Discontents. New York: W.W. Norton & Company.
- Williamson J. (1990). What Washington Means by Policy Reform. Washington, DC: Institute for International Economics

Two Paradigms in Post-Communist Economic Transformation: A Comparative Analysis

Vladimer Glonti

Professor

Batumi Shota Rustaveli State University

vladimer.ghlonti@bsu.edu.ge

Paata Aroshidze

Professor

Batumi Shota Rustaveli State University

aroshidze.paata@bsu.edu.ge

This article examines two conceptually distinct theoretical approaches to post-communist economic transformation: Professor Jeffrey Sachs's shocktherapy model and Academician Vladimer Papava's necroeconomics theories. It analyzes the epistemological foundations, practical applications, and outcomes of these paradigms across different historical and institutional contexts.

Special attention is devoted to Academician Papava's recent works – Unconventional Economics (2021) and From Retroeconomics to Sanctionomics (2024) – which further develop his theoretical system in light of contemporary global challenges. The article also traces Professor Sachs's intellectual evolution from a coauthor of the Washington Consensus to a scholar increasingly focused on sustainable development and global solidarity.

The study concludes that Academician Papava's contextual, adaptive, and institutionally grounded approach is better suited to the realities of postSoviet countries. At the same time, it argues that both paradigms contain valuable theoretical insights whose synthesis may contribute meaningfully to future economic policy design.

Research Questions and Methodology

The study addresses three central research questions: (1) What epistemological differences distinguish the two theoretical approaches, and how do these differences shape their practical policy recommendations? (2) How can the divergent outcomes of economic reforms in Poland, Russia, and Georgia be interpreted through the lenses of these paradigms? (3) To what extent is each approach adaptable to contemporary global challenges, including pandemics, geopolitical conflicts, and the evolving nature of globalization?

The analysis employs documentary research methods to examine the theoretical contributions of both scholars, complemented by comparativehistorical analysis to assess reform outcomes across countries. Four analytical criteria structure the comparison: epistemological orientation (universalism versus contextualism), attention to institutional factors, adaptive capacity to emerging economic phenomena, and practical results within specific national contexts.

Key Findings

Professor Sachs's shock therapy, formulated in the early 1990s, promoted rapid liberalization, stabilization, and privatization as universal prescriptions for post-communist economies. Although this approach achieved notable success in Poland – where inflation fell from 639% in 1989 to 60% by 1991 – the article argues that Poland's achievements were contingent upon specific institutional preconditions: the presence of a nascent private sector, a strong civil society rooted in the Solidarity movement, geographic proximity to Western Europe, and substantial international financial support.

The Russian experience stands in sharp contrast. Despite adopting similar shocktherapy measures beginning in 1992, Russia faced hyperinflation of 2,509% that same year, a continuous GDP decline throughout the 1990s, and a rise in poverty from 11% to 38% by 1998. This divergence is interpreted through Academician Papava's necroeconomics framework, which highlights the persistence of "necroenterprises" – economically nonviable firms sustained by various forms of state support rather than market competitiveness.

The Georgian case reflects elements of both approaches across different periods. The country's severe economic collapse in the early 1990s – exacerbated by civil conflict and territorial disputes – was followed by stabilization measures in 1994–1995, in which Academician Papava played an active role. Subsequent radical liberalization (2004–2012) improved the business environment but failed to address structural unemployment and regional disparities, underscoring the limitations of universalist policy prescriptions.

Theoretical Contributions

The article traces the theoretical evolution of both scholars. Over the past two decades, Professor Sachs has substantially revised his positions, shifting from the advocacy of shock therapy toward an emphasis on sustainable development and global solidarity. This evolution is reflected in works such as *The End of Poverty* (2005), *The Ages of Globalization* (2020), and his cochairmanship of the Lancet COVID19 Commission.

Academician Papava's theoretical contributions have expanded through continuous conceptual innovation. His evolving framework includes necroeconomics (analyzing the survival of postcommunist enterprises), retroeconomics (characterizing economic regression), zombieeconomics (examining technically bankrupt firms sustained through financial support), sanctionomics (assessing the multifaceted effects of economic sanctions), and confrontational globalization (describing the weaponization of economic interdependence).

The study also acknowledges the limitations inherent in both paradigms. The early formulation of shock therapy underestimated the time required for institutional development and the social costs associated with rapid transformation. Necroeconomics, while analytically powerful, faces challenges related to prescriptive precision and empirical validation across diverse national contexts.

Contemporary Relevance

The COVID19 pandemic and the Russia–Ukraine war have tested both theoretical frameworks. Academician Papava’s concept of the “coronomic crisis” – in which “the economy becomes hostage to medicine” – and his earlier warnings about zombieeconomics proved prescient, as extensive state support sustained numerous inefficient enterprises. His sanctionomics framework further clarifies the externalities of economic sanctions for third countries, energy markets, and global supply chains.

Professor Sachs’s emphasis on global pandemic governance and international cooperation, particularly through his work with the Lancet Commission, reflects his evolved perspective on collectiveaction challenges. The article argues that the two approaches exhibit a degree of complementarity: Papava’s microlevel analysis of firm behavior and Sachs’s macroglobal perspective together offer a more comprehensive analytical lens.

Conclusions

The comparative analysis yields five principal conclusions. First, institutional context is fundamental to the success of economic reforms – identical policy packages can generate markedly different outcomes across distinct institutional environments. Second, the presumed universality of economic theory requires critical reassessment; effective policy design must be grounded in a deep understanding of local conditions. Third, sound economic theory must remain adaptive, as illustrated by the ongoing theoretical evolution of both scholars. Fourth, contemporary crises underscore the necessity of continuous theoretical innovation to interpret emerging economic phenomena. Fifth, the cultivation of independent economic thought and the development of local economic schools are essential for achieving longterm economic resilience and success.

Directions for Future Research

This analysis opens several avenues for further investigation.

Synthesis potential. Future research should examine the possibility of synthesizing elements from both paradigms into integrated analytical frameworks that combine universalist insights with contextual sensitivity.

Empirical testing. Academician Papava's theoretical constructs – particularly necroeconomics, zombieeconomics, and sanctionomics – require systematic empirical testing across a wider range of postcommunist and developing economies to assess their explanatory power and delineate their boundary conditions.

Policy applications. Additional research is needed to translate the confrontational globalization framework into practical strategies for economic resilience, especially for small, open economies navigating greatpower competition.

Comparative institutional analysis. Further comparative studies should investigate why similar reform packages produced divergent outcomes, with particular attention to informal institutions, social capital, and historical path dependencies.

Methodological development. The identification criteria for necroenterprises and zombie firms require refinement to reduce subjectivity and facilitate crosscountry comparative analysis.

The international recognition of Academician Papava's contributions – his election to the International CORE Academy of Sciences and Humanities in 2024 and to the Royal Economic Society in 2025 – underscores the global relevance of theoretical frameworks derived from postSoviet empirical observation. This highlights the need for greater attention to the peripheryto center flow of economic ideas within the discipline.

Ultimately, the experience of postcommunist transformation and the analysis of contemporary crises confirm that no universal path to economic development exists. Each country must craft its own contextappropriate strategy. A synthesis of Academician Papava's contextualadaptive approach with Professor Sachs's global perspective may offer the most productive foundation for achieving sustainable and inclusive economic development.

Keywords: Post-communist transformation, shock therapy, necroeconomics, retroeconomics, zombie-economics, sanctionomics, unconventional economics, confrontational globalization, institutional context, economic policy.

JEL Codes: P21, P26, P30, O57, F51